ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 68

"27" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

შპს მცენარეთა დაცვის საწარმოს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის), ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის" მე-5 მუხლის საფუძველზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული დანართით გათვალისწინებული შესაღები მასალების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „მცენარეთა დაცვის საწარმოს" (ს/კ 211335349) კაპიტალში შენატანის განხორციელებაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

№	მოძრავი ქონების დახასიათება	მოძრავი ქონების რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	ხის ბოძი (დიამეტრით 8-11 სმ, სიგრძე 2,1-2,2 მეტრი, მასალა - აკაცია, ერთეულის ფასი-10,30 ლარი)	850 ცალი	8755	შპს რიალ აუდიტის №8 აუდიტორული დასკვნ
2	ეკალხლართიანი მავთული (არაგალვანიზებული, ორმაგი ხვეული მავთულით, ოთხკბილა ეკლით, ეკლის კბილებს შორის მანძილი 10სმ, ხაზობრივი დიამეტრი 1,65 (1,65X1,65) წონა 1 კგ 15 მეტრზე (>=65გ/მ), ერთეულის ფასი 0,25 ლარი)	10500 (42X250მ) გრძივი მეტრი	2625	